თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეა“-ს მიერ
2016 კალენდარულ წელს გაწეული მუშაობის
ანგარიში

ცენტრის სლოგანია:
„ფიქრი იდეისთვის, კვლევა პროექტისთვის, მართვა წარმატებისთვის“
„Think for an Idea, Research for a Project, Manage to Succeed“

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური ცენტრი „იდეა“ შეიქმნა 2000 წლის 8 თებერვალს. დღეისათვის ცენტრის პერსონალურ შემადგენლობაშია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 40-ზე მეტი სტუდენტი. ცენტრის წევრები აგრეთვე არიან საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და ჩიკაკოს ლუისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) სტუდენტები.

ცენტრთან არსებულ მრჩეველთა და მზრუნველთა საბჭოებში გაერთიანებული არიან ქართველი და უცხოელი მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ცენტრს.

2016 წლის 1 ივნისიდან ცენტრმა ბინა დაიდო ახალ ოფისში (თსუ მაღლივი კორუსი, ოთ. # 1008, სადაც კარგი პირობებია მუშაობისათვის. ასეთი გარემოება დიდ სტიმულს აძლევს ცენტრის წევრებს ნაყოფიერი საქმიანობის გასაწევად.

ცენტრის გეგმის მიხედვით, 2016 კალენდარულ წელს მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სატრენინგო სამუშაოები და შესაბამისი პროექტების/ღონისძიებების განხორციელება შემდეგი ძირითადი პროგრამების საფუძველზე:

1. „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ეროვნული ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიაში;
2. „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ისრაელის ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიაში;
3. „აშშ-ს და ბრიტანეთის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ამერიკული და ბრიტანული ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიაში.

ქვემოთ გადმოცემულია ცენტრ „იდეა“-ს ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2016 კალენდარულ წელს განხორციელებული პროექტები/ღონისძიებები და 2017 კალენდარული წლის გეგმები

* * *

1) პროგრამული პროექტი - III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“
(2016 წლის 17-18 მაისი, თბილისი, თსუ, ISET)

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

2016 წლის 17-18 მაისს თბილისში, თსუ-ში, ISET-ში ჩატარდა III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“.

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოში ისრაელის საელჩოსა და ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“-ს შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან: თსუ ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს საქართველოს, ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორებმა და სტუდენტებმა, სპეციალისტებმა და ბიზნესმენებმა.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს ცენტრ „იდეა“-ს სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

17 მაისს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და სამეცნიერო მოხსენებები), ხოლო 18 მაისს - კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი - ვიზიტი “შატო-მუხრანში“ და „ნეტაფიმის“ სარწყავი სისტემის ობიექტზე.

დაიბეჭდა (ISSN და ISBN საგამომცემლო კოდებით) შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

2) ცენტრ „იდეა“-ს თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში

2013 წლიდან ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს ცენტრს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოფილი ელჩის, ბატონ იუვალ ფუქსის სისტემატური და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სტუდენტთა საქმიანობისადმი.

სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა თბილისში ზემოაღნიშნული კონფერენცია, აგრეთვე 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“; ხოლო 2014 წლის 14-17 ივლისს მესტიაში - I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“.

2016 წლის იანვარ-ივნისის განმავლობაში ისრაელის საელჩოში და ელჩის რეზიდენციაში შედგა რამდენიმე შეხვედრა ელჩ იუვალ ფუქსსა და ცენტრ „იდეა“-ს წევრებს შორის. ხოლო ივნისში, ელჩობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამშობლოში გამგზავრების წინ ბატონ ელჩს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ცენტრ „იდეა“-ს სახელით გადაეცა მადლიერების სერტიფიკატი.

2017 წელს და მომავალში დაგეგმილია ფაკულტეტისა და ცენტრის ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელება ისრაელის ახალ ელჩთან, ბატონ შაბთაი ცურთან.

- *2017 წლის აგვისტოში განზრახულია ერთობლივი საზაფხულო სკოლის მოწყობა ბათუმში.*

3) ცენტრ „იდეა“-ს თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“

მჭიდრო თანამშრომლობა 2014 წლიდან ვითარდება ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“ (დირექტორი - აჰარონ გაგულაშვილი).

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს შორის. მემორანდუმის მიზანია, მხარეებმა ხელი შუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

მემორანდუმით გათვალისწინებულია:

1. ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური, მმართველობითი და სამეცნიერო-საექსპერტო პროექტების განხორციელება;
2. სასწავლო-სატრენინგო კურსებისა და საჯარო ლექცია-სემინარების ერთობლივი ჩატარება დაინტერესებული მხარეებისთვის;
3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურისა და სტუდენტური ცენტრ „იდეას“-ს წევრების გაგზავნა ისრაელსა და საქართველოში კომპანიის საწარმოებში გამოცდილების გასაზიარებლად, სტაჟირებასა და პროფესიულ პრაქტიკაზე;
4. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარება.

მემორანდუმის ფარგლებში, ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს მნიშვნელოვანი მხარდაჭერით:

- 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.
- *2016 წლის 17-18 მაისს თბილისში* ჩატარდა *III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“.*
    - *2017 წელს დაგეგმილია ცენტრის წევრი სტუდენტების გაგზავნა სტაჟირებაზე ისრაელში ფირმის ცენტრალურ ოფისში.*
    - *2017 წელს, აგვისტოში განზრახულია ისრაელ-საქართველოს ერთობლივი საზაფხულო სკოლის მოწყობა ბათუმში.*

4) ცენტრ „იდეა“-ს თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასა და ისრაელის სახლთან

2014 წლიდან ვითარდება ცენტრ „იდეა“-ს თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასთან/ისრაელის სახლთან (ხელმძღვანელი - ბატონი იციკ მოშე).

2016 წლის აგვისტოში, ისრაელის ბიზნესპალატის მიწვევით, ცენტრის წევრები დაესწრნენ ისრაელის „მაკაბის“ და თბილისის „დინამოს“ ვეტერან კალათბურთელთა საქველმოქმედო მატჩს.

2016 წლის 24-25 დეკემბერს ცენტრის წევრები და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თანამშრომლები მიწვეული არიან ხანუკას დღესასწაულისადმი და ისრაელის საერთაშორისო მხარდაჭერისადმი მიძღვნილ „ჰასბარას“ საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც ჩატარდება თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში და Biltmore Hotel Tbilisi-ში. ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პრემიერ მინისტრი, მთავრობის და პარლამენტის წევრები, ქ. თბილისის მერი, ისრაელის მთავრობის, კნესეტის და საელჩოს წარმომადგენლები.

5) თანამშრომლობა ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის პროფესორ რობერტ ალბინთან და კიევის გარემოსა და ეკონომიკური განვითარების უნივერსიტეტის პრორექტორთან, პროფესორ ოქსანა რიაბჩენკოსთან

2014 წლიდან მოყოლებული და, კერძოდ, 2016 წელს ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს აღნიშნულ პროფესორებთან, რომლებიც არიან ცენტრის მრჩეველთა საბჭოს წევრები და აქტიურად მონაწილეობენ ცენტრის საქმიანობასა და კონფერენციებში.

6) ცენტრ „იდეა“-ს თანამშრომლობა თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან

2000 წლიდან მოყოლებული და, კერძოდ, 2016 წელს ცენტრი „იდეა“ თანამშრომლობს თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან.

2016 წლის მაისში ცენტრის წევრმა სტუდენტებმა და დირექტორმა ერთობლივი მოხსენებით მონაწილეობა მიიღეს ამერიკისმცოდნეობის XVII საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. ამ კონფერენციაზე ცენტრის დირექტორი გ. შიხაშვილი ხელმძღვანელობდა ეკონომიკის სექციის მუშაობას.

- 2017 წელს და მომავალში განზრახულია კვლევების გაფართოება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიის, თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის, სან-დიეგოს უნივერსიტეტისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით.

7) ცენტრ „იდეა“-ს თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან 2014 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში 2016 წელს დაწყებულია მუშაობა ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით.

პროექტში მონაწილეობას მიიღებს ცენტრის პერსონალი, მათ შორის ფაკულტეტის დოქტორანტი, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელენე განაია.

- 2017 წელს და მომავალში განზრახულია კვლევების გაფართოება მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით.

8) IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“

(2016 წლის 22-23 ოქტომბერი, ქუთაისი)

2016 წლის 22-23 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის უნივერსიტეტში გაიმართა IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“.

კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის უნივერსიტეტთან ერთად იყო სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი ,,იდეა".

თსუ-ში გამოცემულ კონფერენციის შრომათა კრებულში, სხვა მოხსენებებთან ერთად, აისახა აგრეთვე ცენტრ „იდეა"-ს წევრის, დოქტორანტ თენგიზ თაქთაქიშვილის თანაავტორობით წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომიც.

9) ცენტრ „იდეა"-ს დირექტორის, ასოც. პროფესორ გიორგი შიხაშვილის მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში

2016 წლის განმავლობაში ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი მონაწილეობდა 12-ზე მეტ ტრენინგში, სემინარებსა და კონფერენციებში ტრენერის, მსმენელის, ორგანიზატორის, სექციის ხელმძღვანელის, ორგკომიტეტის თავმჯდომარის/წევრის რანგში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში (თბილისი, ქუთაისი, ბაკურიანი, კიევი, მინსკი).

10) ცენტრ „იდეა"-ში ჩატარებული ტრენინგები

ცენტრ ,,იდეა"-ს მთავარი პროგრამა - ,,შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო", ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე თსუ-ს გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; საზაფხული სკოლების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა; ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა).

2016 წელს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა" აგრძელებდა ტრენინგების ციკლს. კერძოდ:

1. 2016 წლის 10-11 მაისს და 5 ნოემბერს, ცენტრის გამგეობის წევრების, მენეჯერებისა და სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის ჩატარდა 2-ნაწილიანი ტრენინგი თემაზე: „ივენთ მენეჯმენტი - კონფერენციების ორგანიზება" (ტრენერი - ცენტრის დირექტორი, გიორგი შიხაშვილი).

   ტრენინგის დასასრულს ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ მონაწილეებს გადასცა სერტიფიკატები.

2016 წლის 15 დეკეემბერს, ცენტრის გამგეობის წევრებისა და მენეჯერებისათვის ჩატარდება ტრენინგი თემაზე: „ლიდერობა და გუნდის მართვა" (ტრენერი - ცენტრის მენეჯერი ნია თოდუა).

- *2017 წელს დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება შემდეგ თემებზე: პროფესიული ორიენტაცია; დროის მართვა; სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა.*

11) ცენტრ ,,იდეა"-ს წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში

2016 წლის განმავლობაში ცენტრ ,,იდეა“-ს წევრები ცენტრის სახელით და ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.

12) სტუდენტური სასწავლო-შემეცნებითი სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეა“-ს ოფისში

2016 წლის ივნისის დასაწყისში ცენტრის ყოფილ ოფისში (თსუ მაღლივი კორუსი, ოთ. # 1211) მოეწყო სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემეცნებითი პროექტების პრეზენტაცია.

ასეთი პროექტების შედგენა-პრეზენტაციას ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ცენტრის დირექტორის გ. შიხაშვილის სასწავლო გეგმისა და მეთოდიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის მენეჯერებით შედგენილი კომისიის მიერ. სულ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტუალურ თემაზე შესრულებული 20-მდე გუნდური პროექტი, რაც დიდ ინტერესს იწვევდა როგორც სხვა გუნდებში, ისე შემფასებლებში.

მსგავსი ტიპის პროექტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ ადგილი არ აქვს აზრების გამეორებას და ყოველ პროექტს მსმენელამდე მიაქვს ახალ-ახალი იდეები, მათი განხორციელების ორიგინალური გააზრება და სათანადო გზების დასახვა.

ყველასთვის სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის დასწრება პროექტების პრეზენტაციაზე, რომელმაც მოიწონა სტუდენტთა ნამუშევრები, ცენტრ „იდეა”-ს მუშაობა ამ სფეროში და წარმატებები უსურვა ყველას.

13) ცენტრ ,,იდეა“-ს მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში - S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014.

2016 წლის განმავლობაში ცენტრ ,,იდეა“-ს წევრები გ. შიხაშვილი და თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც ხორციელდება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014) თსუ-ში გამოსაცემად.

* * *

უმთავრესი დასკვნა

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეა“-მ 2016 წელს ნაყოფიერად იმუშავა. ახალ, 2017 წელს ცენტრი ხვდება დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გეგმებით, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

ამ ეტაპზე ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები და იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო, სასწავლო-სატრენინგო და მთარგმნელობითი პროექტები 2017 და შემდეგი წლებისთვის.

* * *

ცენტრ „იდეა“-ს 2017 წლის გეგმების შესახებ

2017 წელს ცენტრ „იდეა“-ს ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით დაგეგმილია შემდეგი ძირითადი პროექტების/ღონისძიებების განხორციელება:

- *2017 წლის აგვისტოში - ისრაელ-საქართველოს ერთობლივი საზაფხულო სკოლის მოწყობა ბათუმში;*
- ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს მხარდაჭერით - ცენტრის წევრი სტუდენტების გაგზავნა სტაჟირებაზე ისრაელში ფირმის ცენტრალურ ოფისში;
- 2017 წელს და მომავალში განზრახულია კვლევების გაფართოება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიის, თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის, სან-დიეგოს უნივერსიტეტისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით;
- 2017 წლის მაისში - შეხვედრა ფაკულტეტზე საქართველოში აშშ-ის ელჩთან და ლექცია-სემინარის ჩატარება თემაზე: „აშშ-ის კალიფორნიის შტატის სოფლის მეურნეობა და საქართველოში აგრობიზნესის განვითარების პერსპექტივები“;
- თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით;
- 2017 წლის განმავლობაში - თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების მომზადება ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების გამგეობებთან;
- ტრენინგების ჩატარება სტუდენტებისთვის შემდეგ თემებზე: „პროფესიული ორიენტაცია“; „დროის მართვა“; „სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა“;
- გასვლითი ლექცია-სემინარების და ტრენინგების მოწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;
- სასწავლო-შემეცნებითი გუნდური პროექტების სემესტრული პრეზენტაციები.

გიორგი შიხაშვილი



სტუდენტური კვლევებისა და პროექტების
ცენტრ „იდეა“-ს დირექტორი,
მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის
ასოცირებული პროფესორი

6 დეკემბერი, 2016 წელი